საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 11501/03 **3 დეკემბერი 2024 წ.**

სასაქონლო ნიშანზე სამართლებრივი ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენა

კომპანიის „ინტერსან ჰოლდინგ ფზკო“ წარმომადგენელს
ქალბატონ მარიამ გოგიტიძეს
მისამართი: ტატიშვილის ქ. N19, ბინა N1
თბილისი, საქართველო

ქალბატონო მარიამ,

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ (შემდგომ - საქპატენტი) განიხილა 2024 წლის 11 ნოემბრის R 18568-3/2024 თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშანზე „SAVILLE“ (რეგ. N15750) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებას და გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე‘‘.

ამავე კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი“, ხოლო 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი“.

დამატებით გაცნობებთ, რომ განცხადებაზე თანდართულ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი არ არის შესაბამისი ინგლისურ ენოვან მინდობილობასთან. დოკუმენტის ქართულ ენაზე შესრულებული ნაწილი არ შეიცავს კომპანიის დასახელების თარგმანს.

2024 წლის 11 ნოემბრის R 18568-3/2024 განცხადებით ასევე ითხოვთ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გადახდის პირობების შესახებ ინფორმაციას და გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის გათვალისწინებული საფასური გადახდილი უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ საქპატენტში ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

„ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N182 დადგენილებით განსაზღვრული საფასური სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელების მომდევნო ათი წლით საქონლის ერთ კლასზე შეადგენს 300 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, ხოლო საქონლის და/ან მომსახურების ყოველ დამატებით კლასზე 50 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოთ მფლობელი კომპანიის მიერ, თქვენ სახელზე გაცემული სათანადო წესით შედგენილი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში 2024 წლის 11 ნოემბრის თქვენი R 18568-3/2024 განცხადება სასაქონლო ნიშანზე „SAVILLE“ (რეგ. N15750) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი



დარეჯანი მჭედლიძე